

მთავარი ჟურნალისტური გამოძიება კარმიდამო ჩემი 21-ს ქვევით G-NEWS TV საინტერესო ამბები

მთავარი თემა პოლიტიკა საზოგადოება ეკონომიკა სამართალი მკითხველი კულტურა სპორტი აკილო გაზეთის PDF ვერსია

განცხადებები

კონტაქტი

ფინანსური ანგარიში

ბლოგები

თამაშები

ივანიშვილი ჰუდონჰესზე _ "მარტო კაკლის ჩრდილში წამოწოლა გვინდა?"

ნატო გოგელია, სამშაბათი, 15 ოქტომბერი 2013 11:00

Tweet 0 Like 70

ხელისუფლებაში მოსვლამდე "ქართული ოცნება" საქართველოში დიდი ჰესების მშენებლობის წინააღმდეგი იყო. "არა დიდი ჰესებს!" _ ამ ლოზუნგითა და მოწოდებით დღევანდელი მთავრობა ერთი წლის წინ საზოგადოებას გვერდში დგომას პირდებოდა.



_ ასე ერთბაშად და მარტივად მე მგონი არ უნდა წყდებოდეს ჰესების მშენებლობა. უნდა ხდებოდეს მსჯელობა დიდი ხნის განმავლობაში. ყველა მოსახლე უნდა ჩაერთოს და ჩაერთოს. უნდა გავიგოთ პლიუსი და მინუსი. სასწაული არ ხდება. როგორც ვიცი პლიუსებს აუცილებლად გარკვეული მინუსებიც ახლავს და ხშირ შემთხვევაში, იმდენად არღვევს ეკოლოგიას, რომ აზრს კარგავს ყოველგვარი მშენებლობა. ალბათ, უმეტეს შემთხვევაში კარგი იქნება მცირე და საშუალო ჰესების მშენებლობა, რომლებიც შედარებით ნაკლებ ზარალს აყენებენ ეკოლოგიას, _ ამბობდა ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში მოსვლამდე, 2012 წლის 27 ივლისს ხაიმის მოსახლეობასთან შეხვედრისას.

დღეს სიტუაცია შეცვლილია. პრემიერი მინისტრი და მმართველი გუნდის პრეზიდენტობის კანდიდატი ჩვენს კითხვაზე: **უნდა აშენდეს თუ არა საქართველოში დიდი ჰესები?** _ დასტურით გვაპასუხობენ. თუმცა, არავინ აკეთებს განმარტებას იმ მოსალოდნელ საფრთხეებზე,

რომელიც დიდი ჰესების აშენებას თან ახლავს და რომლის შესახებაც არასამთავრობო ორგანიზაციები დიდი ხანია მწვავე განცხადებებს აკეთებენ.

_ პროექტის ზეგავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე ყველაზე მნიშვნელოვანი და მტკივნეული საკითხია და მეორე პლანზე აყენებს ეკოლოგიურ და ეკონომიკურ რისკებს, _ აღნიშნავენ "მწვანე ალტერნატივაში".

პროექტის განხორციელების შემთხვევაში პირდაპირი, უშუალოდ დატბორვის ზონაში და ირიბი ზემოქმედების ქვეშ მოხვდება ხაიმისა და ჭუბურის თემის სოფლები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, საძოვრები, ტყის მასივები, ორი ეკლესია, საფლავები, მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლები, მათ შორის, შუასაუკუნოვანი ხაიმის ციხე და ხაიმში აღმოჩენილი, ჯერ კიდევ შეუსწავლელი, I საუკუნით დათარიღებული არქეოლოგიური ძეგლი, ჯვარი, მესტიის დამაკავშირებელი გზა; გადასახლება მოუწევს დაახლოებით 2000-ზე მეტ ადამიანს, რაც გრძელვადიან პერიოდში გამოიწვევს პოლიტიკური რისკების გაზრდას ქვეყნისთვის.

_ გარდა ამისა, გადასახლებასთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინების გარეშეც კი, ასეთი ფრაგმენტაცია (რომელიც სვანებმა ახლო წარსულში უკვე განიცადეს სტიქიური მოვლენების გამო) დამანგრეველ ზეგავლენას იქონიებს სვანთა მცირერიცხოვან ეთნოგრაფიულ ჯგუფზე. ამასთან, კომპანია "ტრანს ელექტრიკა" დღემდე ცდილობს დამალოს მოსახლეობაზე ზეგავლენის რეალური მასშტაბი და არ ასახოს ანგარიშებში იმ დაზარალებული სოფლების ინტერესები, რომლებიც დატბორვის ზონის გარეთ ხვდება.

პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშთან ერთად არ გამოქვეყნებულა განსახლების გეგმა, რაც გზშ დოკუმენტაციის განხილვას საერთოდ აზრს უკარგავს. პროექტის განმახორციელებლები, საუბრობენ მსოფლიო ბანკის პოლიტიკისა და მისი სტანდარტების გამოყენებაზე თუმცა მათ მიერ გამოყენებული მეთოდიკა ძალზე შორს დგას, როგორც მსოფლიო ბანკის, ისე ადამიანის უფლებათადაცვის საერთაშორისო კანონმდებლობისგან, რომელიც მოითხოვს გასასახლებელ პირებთან დეტალურ, მიზნობრივ კონსულტაციებს, მონაწილეობის შესაძლებლობას განსახლების პროგრამის დაგეგმვასა და განხორციელებაში.

ზაზგასამელია, რომ საზოგადოებასთან და პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ თემებთან კონსულტაციის გარეშე, პროექტისათვის საჭირო 1500 ჰექტარი მიწა და მასზე განლაგებული უძრავი ქონება, მათ შორის, ადგილობრივ მაცხოვრებელთა ქონება და ასევე, 178 მილიონ აშშ დოლარად შეფასებული სამუშაოები, რომელიც გაწეულ იქნა საბჭოთა პერიოდში ხუდონჰესის საპროექტო არეალში, სიმბოლურ 7 აშშ დოლარად გადაეცა ინვესტორ კომპანიას გადასახლებული მოსახლეობის ასოლუტური უმრავლესობა გადასახლების წინააღმდეგია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საბჭოთა კავშირის დროს მოსახლეობის ნაწილი უკვე იყო გადასახლებული, თუმცა გადასახლებულთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ვერ გაძლო და კვლავ დაუბრუნდა თავის პირვანდელ საცხოვრისს. ამ ოჯახებისთვის ხელმეორედ გადასახლება კიდევ უფრო რთული და მიუღებელია. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოში არ არსებობს განვითარების პროექტების შედეგად იძულებითი განსახლების პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც მათ შორის, უზრუნველყოფდა გადასახლებულთა ცხოვრების ადეკვატურ დონეს, როგორც ეს მოთხოვნილია შესაბამისი საერთაშორისო აქტებით.

არ არის ნათელი, რა სარგებელს მიიღებს პროექტის განხორციელებით საქართველო. პროექტი, ცალსახად, მომგებიანია ინვესტორისთვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს ავტომატურად, რომ სახელმწიფოსთვისაც მომგებიანია.

მეტად სადავოა პროექტის მხარდამჭერთა მტკიცება ელექტროენერგიაზე მოთხოვნის ყოველწლიურ 10%-იან ზრდასთან დაკავშირებით.

ვოტო ვიდეო

ივანიშვილი ჰუდონჰესზე _ "მარტო კაკლის ჩრდილში წამოწოლა გვინდა?"

საეჭო და ტენდენციურია, ასევე, მტკიცება ქვეყნის ენერგო-დამოუკიდებლობის საქმეში ჰუდონჰესის პროექტის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ: ჰუდონჰესიდან სახელმწიფო ყოველწლიურად მიიღებს მხოლოდ 133,9 მლნ კვტსთ ელექტროენერგიას 5.84 აშშ ცენტად (რაც შეადგენს ჰუდონჰესის მიერ გამომუშავებული მთელი გამომუშავებული ენერგიის დაახლოებით 7%-ს), ხოლო დამატებითი საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფოს მოუწევს საერთაშორისო ფასად ელექტროენერგიის შეძენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ პროექტი განკუთვნილია საქსპორტოდ.

გარემოსთან დაკავშირებული კვლევები მალზე არასრულყოფილია და არ იძლევა რეალურ სურათს იმისათვის, რომ შეფასდეს პროექტის განხორციელების შედეგად გარემოზე მიყენებული ზარალი. გზმ დოკუმენტის მიხედვით, პროექტის განხორციელების შედეგად განადგურდება არაერთი სახეობის იშვიათი, ენდემური და საფრთხის წინაშე მყოფი მცენარე. მოისპობა არაერთი საფრთხის წინაშე მყოფი სახეობის ცხოველის საბინადრო გარემო. ხელახალი ფაუნისტური კოპლექსების ჩამოყალიბებას, ათეულობით წელი დასჭირდება, თუმცა, მათი სრულად აღდგენა მაინც შეუძლებელი იქნება, _ აღნიშნულია "მწვანე ალტერნატივის" მიერ მომზადებულ დოკუმენტში, რომელშიც წარმოდგენილია ჰუდონის ჰიდროელექტროსადგურის დაგეგმილ პროექტთან დაკავშირებული ის სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური საკითხები, რომელთა გამო მწვანე ალტერნატივა ეწინააღმდეგება პროექტის განხორციელებას შემოთავაზებული სახით.

მიუხედავად ამისა, ჰუდონჰესი მაინც აშენდება. ასეთია მთავრობის პოზიცია. საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ბიძინა ივანიშვილი "გურია ნიუსთან" ექსკლუზიურ ინტერვიუში ამბობს, რომ სვანეთში დამაბულობის პროვოცირებას რამდენიმე ადამიანი ახდენს.

_ რთულადაა სიტუაცია სვანეთში, რადგან იქ სოფელი იძირება, მოსახლეობის ნაწილს უწევს გასახლება და მე დღესაც ამას განვიცდი და დიდი გრძობით, განცდით ვეკიდები. მაქსიმალურად შევეცდები მომავალშიც მხარში დავუდგე მათ და გავუილო ეს ყოფა, მაგრამ ზედმეტი დრამატიზირება არაფრის არ შეიძლება. ჩვენ რა გვინდა, გვინდა მომავალი შევქმნათ თუ არ გვინდა? მარტო კაკლის ჩრდილში წამოწოლა გვინდა? აი ისე, ანეგდოტი ხომ გახსოვთ? _ ასე არ არის. რატომაუნდა განვიცდი დღესაც ამას, მაგრამ ჩვენ უამრავი ეკომიგრანტი გვყავს, უამრავი სვანი გადასახლდა სვანეთიდან თავისით. ამას ახლა ზედმეტი ტრაგიზმი და დრამატიზირებაც არ სჭირდება. ეს არის ქვეყნისთვის საჭირო. სვანებს ეს ესმით და ქვეყნისთვის უამრავი საქმე აქვთ გაკეთებული. ჩემთვისაც შემოუთვლიათ _ თუ იტყვი, რომ ეს ქვეყანას სჭირდება ჩვენ დავდგებით და გავაკეთებთო. იქ არიან პიროვნებები, ვინც ზემდეტად მძაბვენ სიტუაციას და ჩვენ ვსწავლობთ, ვერკვევით. ისე გავაკეთებთ, რომ მოსახლეობისთვის იყოს მაქსიმალურად სასარგებლო და გასაგები ეს ყველაფერი, _ აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ბიძინა ივანიშვილმა.



საინტერესო ამბები



მსოფლიოს ყველაზე კომფორტული ციხეები



Gilese 667C" - შესამდოა, სიცოცხლე არსებობდეს



ყველაზე საშინელი საპატიმროები



მითხარი, რა ტელეფონი გაქვს და გეტყვი, ვინ ხარ შენ



ჰერარდ მარტინ "ბარსე"

მასალების გამოყენებისას აუცილებელია რედაქციის ნებართვა

1867049
4537
TOP.GE 2161